# თვითდამშვიდების ნიმუში

თბილისი. ”დინამოს” სტადიონი. 1 ივლისი.

”დინამო” (თბილისი) – ”ჰალადაში” (უნგრეთი) – 1:3 (1:2).

”ჰალადაში”: ვარგა; მოლნარი, ტარი, სელეში; კულჩარი, საკაი; პოლგარი, პალი, ციგონი, კომორე, ტოტი.

”დინამო”: კოტრიკაძე; ჩოხელი, თორაძე, ხოჭოლავა; სიჭინავა, ზეინკლიშვილი; მელაშვილი, იამანიძე, კალოევი, ღოღობერიძე, მესხი (ბარქაია).

მსაჯი: ვ. ბარაშკოვი (მოსკოვი).

მე-10 ადგილი 14 გუნდს შორის უნგრეთის ჩემპიონატში. ქალაქი სომბატჰეი, რომელშიც 50 ათასი მაცხოვრებელია. არც ერთი გამოჩენილი გვარი შემადგენლობაში.

შეიძლება ამ ციფრებმა გამოიწვია ის, რომ დინამოელებმა ზედმეტი თვითდამშვიდებით, ზერელედ დაიწყეს თამაში. დაემატა ისიც, რომ ღოღობერიძემ უკვე მე-4 წუთზე საკმაოდ იოლად გაიტანა ბურთი და შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ თბილისის ”დინამო” ადვილად მოიგებდა ამ საერთაშორისო შეხვედრას.

მაგრამ მოგება თავისით არ მოდის იმ გუნდთანაც კი, რომელიც ”სადღაც” მეათე ადგილზეა თავისი ქვეყნის ჩემპიონატში.

უნგრელებმა საუკეთესოდ ჩაატარეს მატჩი. ესაა ბრძოლისუნარიანი, ფიზიკურად კარგად მომზადებული გუნდი, რომელიც აქტიურად იბრძვის ცენტრში უპირატესობის მოპოვებისათვის და ამ ამოცანის შესრულების შემდეგ დაუყოვნებლივ იწყებს მის რეალიზაციას. მოთამაშეები სწრაფად გამოდიან ბურთზე, არ ერიდებიან ძალისმიერ ბრძოლას.

თბილისელებმა კი მატჩი ჩაატარეს ძალზე უფერულად, დაბალ დონეზე. მოთამაშეთა უმრავლესობას მძიმე დაღლილობა ეტყობოდა, თუმცა დასაღლელი მათ არაფერი ჰქონდათ. ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა იდგა მესხის, იამანიძის, მელაშვილისა და სხვათა თამაში. დაცვაში ხშირი იყო უხეში შეცდომები, ბურთი უმეტეს შემთხვევაში ეძლეოდა მოწინააღმდეგეს. მაშინაც კი, როცა მოახლოვდა ”ცაიტნოტი” და დრო ”ჰალადაშის” სასარგებლოდ მუშაობდა, დინამოელები არ ჩქარობდნენ და უამრავ დროს კარგავდნენ საჯარიმო დარტყმების გათამაშებისას. გადაცემათა 90 პროცენტი არაზუსტი იყო და მოწინააღმდეგეს ეგზავნებოდა. დამახასიათებელია ისიც, რომ სამივე ბურთი გატანილ იქნა ერთი და იგივე მოთამაშის - კომორეს მიერ.

ახლა, როცა ჩვენი გუნდი აღმავლობის გზაზე დგას და საკავშირო პირველობის ცხრილში საკმაოდ დაშორებულია სახიფათო ზონას, საჭიროა მეტი მონდომებისა და ენერგიის გამოჩენა, რათა შევინარჩუნოთ და განვიმტკიცოთ მოპოვებული.

რ. ქორიძე.
2 ივლისი, 1959 წ.